პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 66
(5875)

1977 წ.
5 აპრილი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედია, კვლავ გაგვახარებს

ახლახან იუგოსლავიის ქალაქ დუბროვნიკში ჩატარდა მეცამეტე საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. გუნდურ შეჯიბრებაში საბჭოთა ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. პირად ასპარეზობაში ჩვენი სპორტსმენებიდან სამმა ოქროს მედალი მიიღო, ორმა — ვერცხლისა, ხოლო ერთმა — ბრინჯაოსი. საბჭოთა ძიუდოისტთა შორის იყო თბილისელი ფალავანი დილარ ხაბულიანი. მან 78 კგ წონის ათლეტებში ყველას აჯობა. დილარმა 5 შეხვედრა გამართა, აქედან 4 წმინდად მოიგო, ერთი კი — ვაზარით. ხაბულიანი ამჟამად ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და იმედია, კვლავ გაგვახარებს.

• • •

სურათზე: დ. ხაბულიანი.

ტანვარჯიში

ტანვარჯიში. გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზზე გამართული საერთაშორისო ტურნირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა მარია ფილატოვამ გაიმარჯვა ცალკეულ იარაღებზეც: დგირი — 19 ქულა, თავისუფალი ვარჯიში — 19,25. როსტოველმა ნ. შაპოშნიკოვამ ყველას აჯობა ორძელზე — 19,1, ხოლო კიშინიოველი ს. ზახაროვა პირველი იყო ბჯენით ხტომაში — 19,075. მოსკოველმა ე. მარკელოვამ, რომელმაც წინადღით მრავალჭიდში გაიმარჯვა, წარმატება მოიპოვა პროგრამის ოთხ სახეობაში: თავისუფალ ვარჯიშში (19,05), ბჯენით ხტომაში (19,225), ღერძზე (19,14) და რგოლებზე, სადაც პირველი ადგილი გაიყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელ კიმ-გვან ზინთან. ორივე სპორტსმენის შედეგია 19,05-19,05 ქულა.

ძალოსნობა

ძალოსნობა. ორჯონიკიძეში ჩატარდა სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონატი ძალოსნობაში. კრასნოდარელმა სპორტსმენმა, მეორე ქვემძიმე წონის ძალოსანმა ს. არაქელოვმა ორი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. ატაცში მან 1 კგ-ით გადააჭარბა უფროსთა მიღწევას — 168 კგ, აკვრაში კი იუნიორთა რეკორდი დაამყარა — 215 კგ.

იმრავლოს მათმა რიგებმა

კვირას თბილისის იპოდრომზე გაიმართა რესპუბლიკური მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე. ახალმა ერთიანმა საკავშირო კლასიფიკაციამ, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკურ კროსებში ზოგიერთ დისტანციაზე პრიზიორებს სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება ენიჭებათ, შეჯიბრებას ინტერესი კიდევ უფრო შემატა. თითქმის ყველა გარბენში ბრძოლები უაღრესად დაძაბული იყო და მონაწილეებმა შარშანდელთან შედარებით მაღალ მაჩვენებლებსაც მიაღწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 14 ათას მეტრზე მორბენლების, თბილისელი სპორტსმენების გ. ხუფაცაიას, გ. ჩოჩიშვილისა და რუსთაველი ვ. ნესტერენკოს წარმატება —სამივემ სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება მოიპოვა. 8000 მეტრზე მორბენალთა შორის ასეთსავე შედეგს მიაღწია ოთხმა კროსმენმა.

შეჯიბრებაში სულ 14 გუნდის 200-ზე მეტი მძლეოსანი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის მასპინძლებმა გაიმარჯვეს, ხოლო მეორე ჯგუფში უძლიერესი გახლდათ ახალციხის ნაკრები.

სურათებზე: 3000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები დისტანციაზე; რესპუბლიკის ჩემპიონი გ. ხუფაცაია ფინიშთან; ქალთა შორის 3000 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ტ. მიასოედოვა (თბილისი).
ო. გელაშვილის ფოტოები.

●

(შეჯიბრების ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

საქართველოს აკრობატთა ბენეფისი

ეშერის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების აკრობატთა პირად-გუნდური შეჯიბრება.

სარბიელზე გამოსული 11 გუნდის 230-მდე სპორტსმენი სპორტის ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და I თანრიგის პროგრამით ასპარეზობდა.

დიდი წარმატება ხვდათ საქართველოს მოსწავლეებს, რომლებმაც 670,230 ქულით გუნდურ შეჯიბრებაში ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს. მეორე იყო მოლდავეთის გუნდი (644,987), ხოლო მესამე—ლენინგრადელთა კოლექტივი (611,125).

სხვათა შორის, შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა საქართველოს მეორე ნაკრებიც, რომელმაც არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავა.

საქართველოს მოსწავლეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს პირად პირველობაშიც. პროგრამით გათვალისწინებული შვიდი სახეობიდან მათ ოთხში გაიმარჯვეს. ე. იუსუპოვამ და ლ. ლისტოფოვამ ყველას აჯობეს გოგონათა წყვილებში (37,88). ვაჟთა წყვილებში საუკეთესონი იყვნენ დ. გაგოშვილი და ხ. ნიკოლაიშვილი (37,61). გოგონათა სამეულების შეჯიბრებაში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მ. მელაძე, ლ. ხანგაშვილი და ს. მკრტიჩიანი (37,86). ძალისმიერ ოთხეულებში თავი გამოიჩინეს — პ. სუთიძემ, ა. არუთინიანმა, ვ. თურქაძემ და გ. კაკაშვილმა (37,02).

საქართველოს გუნდის 17 წევრიდან თორმეტმა სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა.

ვ. ალთუნაშვილი,
საქართველოს აკრობატთა ფედერაციის თავმჯდომარე.

ჭიათურელთა წარმატება

ამას წინათ სპორტკომბინატის კალათბურთის დარბაზში დამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება. სარბიელზე გამოვიდნენ ტყიბულის, საჩხერის, ჭიათურის, დუშეთის, სამტრედიისა და თელავის წარმომადგენლები. რესპუბლიკური პირველობის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ჭიათურელმა გოგონებმა და ვაჟებმა.

გ. ბარჯაძე.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

ფინალში მეორენი...

იანვრის არდადეგების დღეებში საქართველოს ჭაბუკმა ხელბურთელებმა 1961-62 წლებში დაბადებულთა შორის გამართულ ზონალურ შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავეს და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. და აი, ახლახან, მარტის არდადეგების დღეებში, სტავროპოლში გაიმართა ფინალური ასპარეზობა. საპრიზო ადგილებისთვის აქ ექვსი გუნდი იბრძოდა: უკრაინისა, საქართველოს, აზერბაიჯანისა, ყაზახეთისა, ლიტვისა და უზბეკეთისა. საქართველოს ნაკრებს ლიტველებთან შეხვედრა წაგებული ჰქონდა და ამიტომ ფინალურ ექვსეულში მისთვის თითოეულ ქულას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოს გუნდმა (მწვრთნელი რ. ჭანტურია), რომელიც დაკომპლექტებული იყო ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის წარმომადგენლებით (დირექტორი ჯ. ცერცვაძე), კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას, II საპრიზო ადგილი დაიკავა და საკავშირო სპორტკომიტეტის დიპლომით დაჯილდოვდა.

ფინალურ ტურნირში ქართველმა ჭაბუკებმა 4 მატჩიდან 3 მოიგეს და მხოლოდ 1 წააგეს. გაიმარჯვეს: უზბეკებთან ანგარიშით 35:15, აზერბაიჯანელებთან — 27:25, ყაზახებთან — 24:22, ხოლო ერთადერთი მატჩი წააგეს უკრაინელებთან ანგარიშით 15:20. უკრაინელებმა I ადგილი მოიპოვეს, III ადგილზე კი აზერბაიჯანელები გავიდნენ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში განსაკუთრებით ისახელა თავი გია კახიანმა (იგი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი იყო. 25 გოლი). გუნდის საერთო წარმატებაში წვლილი შეიტანეს მეკარეებმა მერაბ ჩხარტიშვილმა და მერაბ მეტრეველმა, მოედნის მოთამაშეებმა ლევან და დიმიტრი აბესაძეებმა, გიორგი კარტოზიამ, გია მამულაშვილმა, ლევან ჩიკვაიძემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა, გია დევიძემ და კახი ენუქიძემ.

ჯ. ცინცაძე.

სურათზე მარცხნიდან: სხედან — მ. ჩხარტიშვილი, გ. კარტოზია, ი. მეძმარიაშვილი, ლ. ჩიკვაიძე, მ. მეტრეველი; დგანან — რ. ჭანტურია (მწვრთნელი), გ. დევიძე, კ. ენუქიძე, ლ. აბესაძე, გ. კახიანი, დ. აბესაძე, გ. მამულაშვილი.

პრეტენდენტთა მატჩებზე

პეტროსიანი ბრძოლას გამოეთიშა

ნახევარფინალის საგზურისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად ტ. პეტროსიანს (სსრ კავშირი) აუცილებლად უნდა მოეგო ვ. კორჩნოისთან მატჩის XII პარტია, მაგრამ ყაიმს დასჯერდა და შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა.

პრეტენდენტთა ეს მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც ჩოკოში (იტალია) ჩატარდა, პეტროსიანმა წააგო ანგარიშით 5,5:6,5.

ნახევარფინალურ მატჩში კორჩნოი შეხვდება პოლუგაევსკის.

პოლუგაევსკი თამაშს გააგრძელებს

ლიუცერნში (შვეიცარია) დამთავრდა ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი ლ. პოლუგაევსკისა (სსრ კავშირი) და ე. მეკინგს (ბრაზილია) შორის. ანგარიშით 6,5:5,5 გაიმარჯვა საბჭოთა დიდოსტატმა.

XII პარტიაში მძაფრი ჭიდილი ყაიმით დასრულდა და პოლუგაევსკიმ ერთი ქულით უპირატესობა შეინარჩუნა. მან ერთი პარტია მოიგო და 11 შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

პოლუგაევსკიმ მოიპოვა ნახევარფინალურ მატჩში თამაშის უფლება.

ჭადრაკი

ფინალში — ცხაკაიელები

ზუგდიდში, შ. დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში ამას წინათ ჩატარდა რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირად-გუნდური ზონალური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 19 გუნდი. თითოეულ კოლექტივში შედიოდა ორი ჭაბუკი და ერთი გოგონა. მონაწილეთა შორის იყო 2 ოსტატობის კანდიდატი, 13 პირველთანრიგოსანი, 40 მეორე და 2 მესამეთანრიგოსანი. შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით — 7 ტურად.

გუნდურ პირველობაში 16 ქულით I ადგილი დაიკავა ცხაკაიას კოლექტივმა (გ. ტყებუჩავა, დ. ჩაჩიბაია, მ. ჩაჩიბაია. მწვრთნელი მ. ქურდოვანიძე), რომელმაც ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა. II ადგილზეა ჩხოროწყუს გუნდი (გ. გობეჩია, რ. წურწუმია, ლ. ჯალაღონია. მწვრთნელი გ. ჯალაღონია), რომელიც გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა. 14 ქულით III ადგილი ხვდა გეგეჭკორის გუნდს (მ. სულავა, შ. ღაჭავა, ლ. წოწორია. მწვრთნელი კ. გვალია).

პირად პირველობაში გოგონებს შორის I ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა ნ. იმნაძემ (მახარაძე) — 6,5 ქულა 7-დან. 5,5 ქულით II ადგილზეა რ. თოდუა (ცხაკაია). III-IV ადგილები გაიყვეს მ. ხუსკივაძემ (ზესტაფონი) და ნ. მელიამ (სამტრედია) — 5-5. III ადგილი ხვდა ხუსკივაძეს, რომელსაც კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდა.

ჭაბუკებს შორის I ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა გ. ტყებუჩავამ — 6,5. 6 ქულით II ადგილი მოიპოვა დ. ჩაჩიბაიამ, III ადგილზე 5,5 ქულით გავიდა გ. გობეჩია (ჩხოროწყუ).

ვ. მელიქსეთბევი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შაში

ორი ლიდერი

ცხინვალი, 4 აპრილი (ტელეფონით). ასუჯრიან შაშში საქართველოს ვაჟთა პირველობაში გათამაშდა კიდევ ორი ტურის (IV, V) პარტიები. 5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ბ. ლევიაშვილი (სამტრედია), ს. მალოვიკი (სოხუმი) — 4-4 ქულა, მ. ცანავა (ფოთი), ვ. ხარებოვი, ზ. ქოქოევი (ორივე — ცხინვალი) — 3,5-3,5, ვ. ინწკირველი (თბილისი), ვ. გობოზოვი (ცხინვალი) — 3-3.

საანგარიშო ტურებში ძლიერად ითამაშეს ჭაბუკმა ლევიაშვილმა, ინწკირველმა და გობოზოვმა. სამტრედიელმა მოშაშემ პირველი მარცხი აწვნევინა ჯერ თბილისელ ა. სამადაშვილს, მერე ქოქოევს — 22 სვლაში. ინწკირველმა სძლია ა. კონჯარიას (ფოთი) და სამადაშვილს. შეჯიბრების ერთ-ერთმა ფავორიტმა გობოზოვმა სტარტი წარუმატებლად აიღო, მაგრამ მალე გამოასწორა მდგომარეობა. მან მოუგო ცანავას, რომელსაც ამ ტურნირში პირველად მოუხდა დანებება, და მოროზოვს.

გთავაზობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: IV ტურში მალოვიკმა დაამარცხა დ. შავგულიძე (ფოთი), ნ. თედეევმა (ცხინვალი) — ა. გრიგოლია (სამტრედია). დაზავდნენ: ვ. ხარებოვი (ცხინვალი) — ცანავა, ქოქოევი — რ. რეხვიაშვილი (რუსთავი) და ვ. უმაროვი — გ. ჩუთლაშვილი (ორივე — თბილისი). V ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა გრიგოლიამ (მოუგო ჩუთლაშვილს). თედეევმა სძლია კონჯარიას. ყაიმზე შეთანხმდნენ: შავგულიძე — მოროზოვი, რეხვიაშვილი — უმაროვი, მალოვიკი — ხარებოვი.

I ტურიდან გადადებულ პარტიაში ხარებოვმა მოუგო გობოზოვს.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ჭიდაობა

ეგვიპტის საპორტო ქალაქ ალექსანდრიაში დამთავრდა 1928 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის იბრაჰიმ მუსტაფას მემორიალი კლასიკურ ჭიდაობაში. ამ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, საბერძნეთის, ირანის, თურქეთის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების ფალავნები. ბრწყინვალე შედეგები მოიპოვა საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც მოიგო გუნდური შეჯიბრება. ამას გარდა, პირად შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის შვიდმა ათლეტმა პირველი ადგილები დაიკავა, ორმა — მეორე, ერთმა — მესამე. მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში თბილისელ შოთა მოოჩილაძეს II საპრიზო ადგილი ხვდა, მისმა თანაგუნდელმა კოლჩინსკიმ კი ყველას აჯობა. აპრილში საბჭოთა სპორტსმენები ორ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ: ნიკოლა პეტროვის მემორიალში, რომელიც ბულგარეთში გაიმართება და გფრ-ის დიდი პრიზის გათამაშებაში. მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება საბჭოთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა, რომელიც მაისში ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ეს შეჯიბრება გაიმართება თურქეთის ქალაქ იზმირში.

ფეხბურთი

მეორე ლიგის ახალმა ბინადარმა — თბილისის „სპარტაკმა“, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს ეწვია, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართა. სპარტაკელებმა სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე მოიგეს: გომელის გუნდთან ანგარიშით 4:0, მოსკოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 4:0 და ტყვარჩელის გუნდთან — 5:3.

როცა სეკუნდანტობს რაიკო პეტროვი

დაკვირვებიხართ წუთშესვენებაზე ხალიჩის კუთხეში მყოფ მოჭიდავეს? ბრძოლისაგან დაქანცული რომ ისვენებს ენერგიის აღსადგენად, რომელიც კვლავ ორთაბრძოლას უნდა შესწიროს. დაღლილ ფალავანს მწვრთნელის მხარზე გადაუწყვია მოდუნებული, ძალაგამოცლილი მკლავები და გულმოდგინედ უსმენს მის მითითებებს. სხვისი არ ვიცი და მე კი მგონია, რომ ორთაბრძოლის ბედს მწვრთნელის მიერ წუთშესვენებაზე მიცემული შენიშვნებიც ბევრად განაპირობებს. მრგვალ სარბიელზე მოასპარეზე ფალავანს სეკუნდანტის სკამზე თუ ავტორიტეტული მწვრთნელი ეგულება, უფრო იმედიანად, გაბედულად ჭიდაობს და რაღაც უპირატესობასაც კი გრძნობს.

— ჭიდაობა გაცილებით უკეთ გამომდის, როცა სეკუნდანტობას ჩემი მწვრთნელი რაიკო პეტროვი მიწევს, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ცნობილმა ბულგარელმა ფალავანმა, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ენიუ ვილჩევმა.

დიახ! სახელგანთქმული მწვრთნელი, ბევრი ტიტულიანი ფალავნის აღმზრდელი, ბულგარეთის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი რაიკო პეტროვი სწორედ იმ მწვრთნელთა რიცხვს ეკუთვნის, ვისი იმედითაც ძალმოცემული მოჭიდავეები ხალიჩაზე მაქსიმალურ შესაძლებლობას ავლენენ.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის მე-16 საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის დღეებში ბულგარელ სტუმართა დელეგაციის ხელმძღვანელი რაიკო პეტროვი სეკუნდანტის სკამზე არ მჯდარა. ამჯერად იგი დამკვირვებლის როლში იყო და თანამემამულეთა ყოველ შეცდომას ბლოკნოტში ინიშნავდა. თუ ბულგარელები არ ჭიდაობდნენ, სახელგანთქმული მწვრთნელი პოტენციურ მეტოქეებს „ზვერავდა“... აი, ბულგარელმა მოჭიდავემ ძველი შეხვედრა მოიგო. თანაგუნდელები ულოცავენ. ულოცავს რაიკო პეტროვიც... ვფიქრობ, შესაფერი მომენტია ინტერვიუზე დასათანხმებლად...

...სპორტის სასახლის ვესტიბიულში განვმარტოვდით.

— პატივცემულო რაიკო, სად და როდის დაიწყო თქვენი, როგორც მწვრთნელის მოღვაწეობა?

— ყაზარმაში, — მიპასუხა მან, და გაოცება რომ შემატყო, განაგრძო:

— სავალდებულო სამხედრო სამსახურში რომ ვიყავი, ბატალიონის მეთაურმა გამომიძახა და, როგორც სპორტსმენს, ჯარისკაცებისგან მოჭიდავეთა გუნდის შედგენა დამავალა.

— ისეთი გუნდი უნდა შექმნა, — მითხრა მეთაურმა, — რომ სამშენებლო ბატალიონებში ყველას ვაჯობოთ. რა დაგჭირდება ამისთვის?

— ბევრი არაფერი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — მივუგე მე — გუნდის წევრებისთვის სამუშაო საათების შეზღუდვა და კვების ნორმის ოდნავ გაზრდა.

— შევთანხმდით, — მითხრა პოდპოლკოვნიკმა. — თავისუფალი ხართ. დღეიდან მე თვალყურს ვადევნებ თქვენს წარმატებებს.

მალე ჩვენმა გუნდმა პირველ შეჯიბრებაში მოსინჯა ძალა. მესამე ადგილი გვერგო. სხვათა შორის ამ გუნდის წევრები ახმედოვი და ფეხლივანოვი შემდეგში სახელმოხვეჭილი მოჭიდავეები გახდნენ.

მწვრთნელის ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი, 23 წლისა ვიყავი. მეგონა, რომ ეს ჩემთვის დროებითი მოვალეობა იქნებოდა, მაგრამ ერთ დღეს მუშაობის დროს მარცხენა ხელზე ბეტონის ფილა დამეცა. თითქმის მთელი თვის მკურნალობის შემდეგ, საავადმყოფოდან რომ გამომწერეს, ხელზე ნევი არ მქონდა.

დასვენების შემდეგ ვარჯიში განვაახლე. გადავწყვიტე სარბიელს დავბრუნებოდი. რამდენიმე დღეში დავიკელი საავადმყოფოში მომატებული ოთხი კილოგრამი და ქვეყნის ჩემპიონატში ჩავები. პირველი ორთაბრძოლა მოვიგე, მაგრამ შემდეგ შეხვედრაში ხელზე ნაკერები გამეხსნა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ხალიჩაზე გამოსვლას ვეღარ შევძლებდი. დავრჩი მწვრთნელად. ამ პროფესიით განვაგრძე მუშაობა სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგაც. მალე ბულგარეთის ნაკრებს ჩავუდექი სათავეში და საშუალება მომეცა გუნდი მელბურნის ოლიმპიური თამაშებისთვის მომემზადებინა.

...აი, რაიკო პეტროვი ბულგარეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია. ბულგარელმა მოჭიდავეებმა თანდათან იწყეს საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობათა მოგება. ახალგაზრდა მწვრთნელის წარმატებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში რაიკო პეტროვის მიერ მომზადებულმა გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა.

მელბურნის ოლიმპიადაზე ბულგარეთის სპორტული დელეგაცია დებიუტანტი გახლდათ, მაგრამ მოჭიდავეთა გუნდმა სამი ვერცხლისა და ერთი ოქროს მედალი მოიპოვა. ბულგარეთის სპორტის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ნიკოლა სტანჩევი. სხვათა შორის, მელბურნში მან სძლია ცნობილ საბჭოთა მოჭიდავეს გოგი სხირტლაძეს.

— როგორ წარიმართა ეს ორთაბრძოლა?

— საქმე ის არის, რომ ოლიმპიადამდე სტანჩევი ყოველთვის აგებდა სხირტლაძესთან. ამის გამო მას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა ქართველი მეტოქისა. ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში ეს ფაქტი კარგად მქონდა გათვალისწინებული. სტანჩევს გუნდში ვერ შევცვლიდი და ამიტომ სხირტლაძესთან საბრძოლველად ვამზადებდი. ამ პერიოდში ნიკოლას ისეთ პარტნიორებს ვურჩევდი, რომელთა ჭიდაობაც ქართველი ფალავნის სტილს უახლოვდებოდა. კარგად მახსოვს მელბურნის ხალიჩაზე ამ ორი სწორუპოვარი მოჭიდავის ბრძოლა. სხირტლაძემ ჭიდაობა მისთვის უჩვეულო სტილით დაიწყო: შეეცადა სტანჩევს ფეხში შევარდნოდა. მაშინვე მივხვდი, მეტოქის მოტყუებას ლამობდა. სტანჩევს დავუძახე, არ შეცდე-მეთქი. მეორედ, როცა სხირტლაძემ იგივე მოძრაობა გაიმეორა, ნიკოლას წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, ფეხში შეუშვა. კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. სხირტლაძის ამოცანა იყო მეტოქე ჩოქბჯენში გადაეყვანა, სტანჩევს კი ან ფეხი უნდა გაეთავისუფლებინა, ან კონტრილეთი ჩაეტარებინა. და აი, ბულგარელმა ფალავანმა მტკიცედ დაიჭირა მეტოქის მკლავი, მარჯვედ გააკეთა ილეთი და ორი ქულა მოიპოვა. პირველმა ქულებმა ნიკოლას მხნეობა შემატა, თვითონვე გადავიდა იერიშზე და კიდევ ორი ქულა დაიმსახურა. დანარჩენი უკვე ტაქტიკაზე იყო დამოკიდებული. შეხვედრა ბულგარელი ფალავნის გამარჯვებით დამთავრდა.

შეჯიბრების შემდეგ, როდესაც სტანჩევი ოქროს მედლით დაჯილდოვდა, გამარჯვება მას პირველმა [illegible] მიულოცა. აქვე მინდა გავიხსენო ქართველი მწვრთნელის, ჩემი მეგობრის დავით ციმაკურიძის დამოკიდებულება ბულგარელ მოჭიდავეთა მიმართ. იგი ჩვენ, როგორც ოლიმპიადის დებიუტანტებს, მხარს გვიჭერდა, გვეხმარებოდა სასარგებლო რჩევა-დარიგებებით.

ქართველ მწვრთნელებთან და მოჭიდავეებთან კავშირი არც შემდეგში გამიწყვეტია. მათთან მეგობრობამ ბევრი რამ შემძინა. საშუალება მომეცა გავცნობოდი ჭიდაობის ქართულ სკოლას, რომელიც თვითმყოფი, დახვეწილი ტექნიკით გამოირჩევა.

წლების განმავლობაში მრავალჯერ დავმტკბარვარ ქართველ მოჭიდავეთა ბრწყინვალე ოსტატობით. მახსოვს ვირტუოზი ფალავანი ვლადიმერ რუბაშვილი. მაგონდება მისი გამოსვლა რომის ოლიმპიურ თამაშებში. მაშინ ვლადიმერი 20 წლისა იყო, მაგრამ ღირსეული მეტოქეობა ვერავინ გაუწია. და, თუ ქართველ სპორტსმენს რომში მხოლოდ ბრინჯაოს მედალი ხვდა, ეს შემთხვევითობას უფრო უნდა მივაწეროთ, ვიდრე კანონზომიერებას.

დღესაც გუშინდელივით მახსოვს 17 წლის წინანდელი ამბავი. საბჭოთა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი პირველ წრეში ირანის „ოქროს იმედს“ — ჰამედს ხვდებოდა. ორთაბრძოლა რუბაშვილის სწრაფი იერიშით დაიწყო. მან მეტოქე ორჯერ გადააგორა ბეჭებზე, მაგრამ არბიტრმა „ვერ შეამჩნია“ ეს. ვლადიმერმა იგრძნო მსაჯის არაობიექტურობა და გული მოუვიდა. გაბრაზებულმა მეტოქე ჰაერში აიტაცა, ძირს დაიქნია. ირანელმა ორიენტაცია დაკარგა, უნებურად ფეხი მსაჯს მოარტყა და ორივენი ხალიჩაზე გაკრული აღმოჩნდნენ.

რომელი ერთი გავიხსენო, ახლაც თვალწინ მიდგას დიდებული ოსტატების გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძის, რომან რურუას და სხვათა ბრწყინვალე გამოსვლები.

გული მწყდება, რომ ბოლო წლებში მხოლოდ ერთი სპორტსმენი — ლევან თედიაშვილი აგრძელებს სახელოვან ქართველ ფალავანთა ტრადიციებს. ვფიქრობ, ამაში ბრალი ჩემს ქართველ კოლეგებსაც მიუძღვით.

— როგორ დამოკიდებულებას არჩევთ სპორტსმენებთან?

— მწვრთნელად მუშაობისას არ მახსოვს, რომელიმე მოჭიდავესთან კონფლიქტი მომსვლოდეს. სპორტსმენებთან ყოველთვის ახლოს ვიყავი კარგად ვიცნობდი გუნდის თითოეული წევრის პირად ცხოვრებას, ვიცოდი, რა უხაროდათ, რა აწუხებდათ. ჩემი რწმენით, მწვრთნელი, პირველ ყოვლისა, პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სპორტსმენს და პასუხადაც იმასვე მიიღებს.

— თქვენი აზრით, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მწვრთნელი?

— თანამედროვე მწვრთნელისგან სპორტი დიდ ერუდიციასა და ცოდნას მოითხოვს. იგი კარგად უნდა იცნობდეს და პრაქტიკულ საქმიანობაშიც იყენებდეს ყოველგვარ სიახლეს. თუ მწვრთნელმა არ იცის ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ბიომექანიკა და კიბერნეტიკაც კი, არა მგონია მან რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს.

მწვრთნელს უნდა შესწევდეს უნარი, რომ მოჭიდავეს საკუთარი ძალის რწმენა ჩაუნერგოს, დაეხმაროს სპორტსმენს ხალიჩაზე შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენაში.

ზოგიერთი მწვრთნელს წარმატების საწინდრად ბევრი ვარჯიში მიაჩნია. ცხადია, დაუღალავი შრომის გარეშე ვერაფერს მიაღწევ, მაგრამ აქ აუცილებელია დაკვირვება. საჭიროა რაციონალური, გეგმიანი ვარჯიში და არა მარტო ხანგრძლივი, უსისტემო წვრთნა.

ყოველივე ამას მწვრთნელი მუყაითი შრომით მიაღწევს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს ამ პროფესიისთვის საჭირო თანდაყოლილი თვისებებიც: პედაგოგიური ოსტატობა, შემოქმედებითი სული მეცნიერისა და თვით სპორტსმენის მსგავსად — სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

ო. კუსიანი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: რაიკო პეტროვი.
ვ. გენგიურის ფოტო.

წერილის კვალდაკვალ

„ცარიელი ბაზები და უპასუხისმგებლო დირექტორები“

ამ სათაურით „ლელომ“ 26 იანვარს დაბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ თბილისის ბაზები სპორტულ ნაგებობათა გამოყენების შემოწმების ერთთვიურს.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ყირმელაშვილი გვატყობინებს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია და საქართველოს სპორტკომიტეტის 27 იანვრის დადგენილება „1976-77 წლების ზამთრის სეზონში სპორტული ბაზებისა და ნაგებობების გამოყენების რესპუბლიკური შემოწმება-რეიდის შედეგების შესახებ“ ქალაქის სპორტკომიტეტმა თავისი 25 თებერვლის სხდომაზე განიხილა და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო.

ქალაქის სპორტკომიტეტმა დაამტკიცა თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს სპორტული ბაზების კეთილმოწყობის გეგმა. ქალაქის სპორტნაგებობათა სამმართველოს დაევალა სისტემატურად შეამოწმოს საწარმო-დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ადგილებში განლაგებული სპორტული ბაზების მდგომარეობა. კომიტეტის ინსტრუქტორები მიამაგრა სპორტულ ბაზებზე და მათვე დაავალა უზრუნველყონ ბაზების სისტემატური მზადყოფნა. თბილისის სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს, ბაზების დირექტორებს დაევალათ უზრუნველყონ ბაზების კეთილმოწყობა საზაფხულო სეზონისთვის. გატარდა ღონისძიება ბაზებზე სპორტის პროპაგანდის დონის ამაღლებისთვის.

დასახულია სხვა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს თბილისის სპორტული ნაგებობების მზადყოფნას, მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის დონის ამაღლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '77

სსრ კავშირის ჩემპიონატი

•

უმაღლესი ლიგა

პირველი შეხვედრები

„ქაირათი" (ალმა-ათა) — ცსკა 2:1.

„ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:1.

„არარატი" (ერევანი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 2:2.

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:1.

„ნეფთჩი" (ბაქო) — „დინამო" (მოსკოვი) 0:0.

„შახტიორი" (დონეცკი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:0.

„დინამო" (კიევი) — „კარპატი" (ლვოვი) 1:1.

...ჩვენ უფრო ლამაზი გვინდა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 2 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 4:2 (3:1).

„დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე (მუჯირი), ქორიძე, ჩილაია, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, დარასელია, გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

„კრილია სოვეტოვი": ბლოხინი, სიომინი, ლევინსკი, არუთინიანი, კოპაევი, პანფილოვი, არიაპოვი, პლატონოვი, კუზნეცოვი, ფეტისოვი, ფილიპოვი.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

მინდვრიდან გაძევებულია არუთინიანი.

წინათქმა. ვოლგისპირელთა გუნდი ნებისმიერი კოლექტივისთვის ძნელად დასამარცხებელი მეტოქე რომ არის, ეს უკვე დიდიხანია ცნობილია. არც ის არის ახალი ამბავი, რომ კუიბიშეველები კარის მისადგომების დაცვის დიდ ოსტატებად ითვლებიან. სტუმრებს ალბათ თბილისშიც ჰქონდათ დაგეგმილი ამ ნაცადი იარაღის გამოყენება, მაგრამ მასპინძლებმა თავიდანვე ისე თამამად დალაშქრეს მათი ორ წყებად განლაგებული დაცვა, რომ მოწინააღმდეგეს ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცეს. ლაღმა თამაშმა, ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზებში ზუსტმა ურთიერთმოქმედებამ ძალიან სწრაფად გამოიღო სასურველი ნაყოფი. მატჩის დაწყებიდან სულ რაღაც 3 წუთი იყო გასული, როცა სტუმრები დაჯარიმდნენ: გოლის გატანის შესაძლებლობა ზუსტად გამოიყენა მ. მაჩაიძემ. მან იხელთა მომენტი, როცა მეტოქეთა მხოლოდ ერთი მცველი უღობავდა გზას და ბურთი კარის ზედა კუთხეში მოათავსა. ეს იყო საიმედო ავანსი მასპინძელთა შეუჩერებელი იერიშების გზაზე. მეტოქეთა დაცვა კი ამ წარუმატებლობამ სულ არივ-დარია. ასე გაგრძელდა 33 წუთის განმავლობაში. ვინც ამ თამაშს უყურა, კარგად ეხსომება თბილისელთა მიერ გატანილი მომდევნო ორი გოლი. პირველ შემთხვევაში (მე-11 წუთზე) ყიფიანმა მარცხენა ფლანგიდან შენგელიას მიერ ოსტატურად მიწოდებული ბურთი შეუჩერებლად დაარტყა კარში. მეორედ (33-ე წუთი) თბილისელებმა როლები შეცვალეს: ყიფიანმა მარჯვენა ფლანგიდან (კუთხურიდან) ჩააწოდა და ახლა თავური დარტყმით შენგელიამ დააგვირგვინა პარტნიორის წამოწყება. ამ ოცდაცამეტი წუთის მანძილზე სტუმრებმა დაცვაში ვერა და ვერ ააწყვეს თამაში. თბილისელები დროის ამ მონაკვეთში ისე მობილურად, ლამაზად და ოსტატურად ავითარებდნენ იერიშებს, რომ დაცვის ვერავითარი ნაირსახეობა — ვერც იტალიური „კატენაჩიო", ვერც შვეიცარიული „ბოქლომი" და ვერც ვოლგისპირული „ურდული" მათს გაშლილ ფრონტს წინ ვერ აღუდგებოდა. თბილისელები იერიშებისას (ხაზს ვუსვამთ მხოლოდ იერიშებისას) მართლაც შეუდარებელნი იყვნენ. ბურთის ფლობის დახვეწილი ტექნიკა, სწრაფვა უშედავათო ბრძოლისა და დამაჯერებელი — უაპელაციო გამარჯვებისკენ — აი, რით გამოირჩეოდნენ მასპინძლები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისელებზე ადრე სწორედ ვოლგისპირელებს ჰქონდათ პირველი გოლის გატანის შესაძლებლობა. ეს მოხდა თამაშის პირველსავე წუთზე, როცა კუიბიშეველთა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ლამაზად ჩაჭრა გადაცემა და კარის ახლოს უხეიროდ ითამაშა. მეოცე წუთზე თბილისელთა მეკარემ უძლიერესად დარტყმული ბურთი ოსტატურად მოიგერია. სტუმრების კონტრიერიშები, მართალია, იშვიათი, მაგრამ მეტად მძაფრი იყო. საერთო წარმატების ფონზე, როცა გუნდი მატჩს 3 უპასუხო გოლით იგებს, ფეხბურთელებიც და მათი ქომაგებიც გადაჭარბებული ოპტიმიზმის ტყვეობაში ექცევიან. მიზეზი ალბათ ფსიქოლოგიურ მოვლენებში უნდა ვეძიოთ. როცა ვოლგისპირელები ამ ეპიზოდურ კონტრიერიშებს ავითარებდნენ, დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევდა, რომ თბილისელთა დაცვისა და ნახევარდაცვის ურთიერთმოქმედებაში ცოტა ხარვეზი როდი იყო. მესამე გოლით შეშფოთებულმა კუიბიშეველებმა უფრო აქტიურად დაიწყეს მასპინძელთა არც თუ საიმედოდ ჩაკეტილი კარის გასაღების ძებნა. დაიწყეს და როგორც იტყვიან...

გაწყდება, სადაც წვრილია: სტუმრების თავგამოდებული მცდელობა საბოლოოდ თბილისელთა კარის აღებით დამთავრდა. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე ბურთი ოსტატურად დაარტყა პლატონოვმა. რა იყო ეს — პრესტიჟის გოლი თუ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი განაცხადი? ჩვენ არ ვიცით, რა უთხრა და რა დავალება მისცა შესვენებისას თავის ფეხბურთელებს კუიბიშეველთა მწვრთნელმა ვ. კირშმა, მაგრამ ხომ გახსოვთ:

გაბედე და ღმერთი გიშველისო — გამართლდა. მართლაც გაბედეს, სტუმრებმა მასპინძლებს ტოლი არაფერში დაუდეს და საკმაოდ ხშირი იერიშებით მაყურებლებს ცხადად დაანახვეს, რომ თბილისელთა დაცვაში ხარვეზი დასაშვებზე მეტია. მაინც, რა მოხდა? განსაკუთრებული არაფერი. ამჯერად თბილისელთა რიგებში არ იყო ხინჩაგაშვილი, მოთამაშე, რომელსაც ძალუძს დაცვის ორგანიზება. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში „დინამოს" შუახაზის მოთამაშეებმა მეტოქეს მთლიანად დაუთმეს მინდვრის ცენტრალური ნაწილი. სტუმრებმა კარგად გამოიყენეს ეს გარემოება და კიდევ ერთხელ აიღეს მასპინძელთა კარი. 61-ე წუთზე გოლი გაიტანა ფეტისოვმა. და აი, ასეთ დაძაბულ ვითარებაში თბილისელებმა შეძლეს ჩარხის წალმა დატრიალება, კვლავ წამოიწყეს სახიფათო იერიშები, მაგრამ... მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, გუცაევს, რომელიც აშკარად საგოლე მომენტს ამზადებდა, უხეშად ეთამაშა მეტოქეთა მცველი არუთინიანი. მოხდა ისე, რაზედაც იტყვიან...

თავის სიმსუბუქე ფეხის სიმძიმეაო. ლიპატოვმა 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. კუიბიშეველებს ეჭვიც არ შეუტანიათ მსაჯის გადაწყვეტილებაში. არუთინიანმა, რომელიც ერთხანს გარინდებული იყო, უეცრად ბურთი მძლავრად დაარტყა — არბიტრის მიმართულებით. ლიპატოვი ერთობ სხარტი აღმოჩნდა და თამაშის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა კიდეც — გასროლილი ტყვია ავიცდინეო. ვინც მატჩს დაესწრო და ან ეს შეხვედრა ტელეეკრანზე ნახა, უთუოდ შეამჩნევდა, რომ არუთინიანმა რამდენჯერმე მიმართა აკრძალულ ილეთებს. საბოლოოდ არბიტრი იძულებული გახდა მისთვის ყვითელი ბარათი ეჩვენებინა. ესეც რომ არ მომხდარიყო, მინდორზე ხულიგნობისთვის მსაჯი მას მაინც გააძევებდა. ლიპატოვმა ეს ამბავიც პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა. პენალტი? პენალტი კი ყიფიანმა ოსტატურად და ზუსტად დაარტყა. სამწუხარო ის არის, რომ სხვა მხრივ კორექტულად, მეგობრულ ვითარებაში გამართულ მატჩს უსიამოვნო ჩრდილი მიაყენა ერთი თავშეუკავებელი მოთამაშის გამოხდომამ. ესეც პრეს-კონფერენციაზე თქვა კუიბიშეველთა მწვრთნელმა ვ. კირშმა.

ბოლოთქმა. პირველი მატჩი თბილისელებმა მოიგეს, მოიგეს დამაჯერებელი ანგარიშით. ზემოთაც ვთქვით და კვლავ აღვნიშნავთ, რომ დინამოელთა თამაშში ბევრი ნაკლი იყო. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სეზონის პირველი მატჩი ფეხბურთელებისთვის პრემიერაა, მომდევნო „სპექტაკლებში" ისინი დაკისრებულ როლებს ალბათ უფრო დახვეწილად ითამაშებენ. „დინამოს" ხომ საკავშირო ჩემპიონატში კიდევ 29 მატჩის გამართვა მოუწევს და მაინც... ხომ ლამაზია ეს დალოცვილი ფეხბურთი, მაგრამ იგი თვით მოთამაშეებსაც და მათ ქომაგებსაც კიდევ უფრო ლამაზი უნდათ...

ბოლოთქმის ბოლო თქმაც. „ლელომ" წინა ნომერში მკითხველს უამბო საიუბილეო სეზონის საზეიმო გახსნის შესახებ. ახლა ორიოდე სიტყვა ტაიმებს შორის შესვენებისას და მატჩის ბოლოს მოწყობილ სასიამოვნო ცერემონიალზე. ამ ბოლო ხანს დიდ სარბიელზე ახალი წარმატებები მოიპოვეს მძლეოსანმა ვიქტორ სანეევმა, მოკრივეებმა დავით კვაჭაძემ და ამირან ხიზანიშვილმა, კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა [illegible] აბრამიშვილმა, იოსებ ბერიშვილმა და ქეტატე გოგლიჩიძემ. ამ სახელოვან სპორტსმენთა გვარები შეტანილია საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო წიგნში. სტადიონზე სპორტის ათასობით ქომაგის წინაშე მათ სიგელები გადასცეს შრომის გმირებმა.

მატჩის დასასრულს მოეწყო დინამოელ ფეხბურთელთა — რევაზ ძოძუაშვილის, ვახტანგ ჭელიძის, ზარიბეგ ებრალიძისა და გოჩა გავაშელის საზეიმო გაცილება. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სპორტკომიტეტმა, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ ოთხივე ფეხბურთელი საპატიო სიგელებით და საჩუქრებით დააჯილდოვა. თანაგუნდელებმა, ვეტერანებმა ხელიხელგადახვეულებმა შეკრებილთა ტაშის გრიალში დატოვეს მინდორი. დასასრულ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფეხბურთელთა საიუბილეო, მე-40 ჩემპიონატის საზეიმო ცერემონიალი საუცხოოდ იყო ორგანიზებული. ამან კიდევ უფრო გაახალისა ასპარეზობის მონაწილენიცა და მათი ქომაგებიც.

ჯ. ენუქიძე.

• • •

სურათზე: შეტევაზეა [illegible] შენგელია.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ტრადიცია გრძელდება

ერევანი, 2 აპრილი. საგაზაფხულო არდადეგების დღეებში მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების მოსწავლეებმა მოაწყეს ტრადიციული ფესტივალი, რომელსაც „მეგობრობის თასი" ჰქვია. ფესტივალის პროგრამაში სპორტული შეჯიბრებებიც შედიოდა.

ამჯერად სომხეთის დედაქალაქში მოეწყო ტურნირები ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში. ჩოგბურთელთა გუნდურ ასპარეზობაში ყველას აჯობეს თბილისელებმა, პირად ტურნირში კი საუკეთესონი იყვნენ კიშინიოველი მეცხრეკლასელი მოსწავლეები ლ. კოტოლუპენკო და მ. გუცუ. ჭადრაკში ყველას აჯობეს მასპინძლებმა. ფრენბურთში გაიმარჯვეს ვილნიუსელმა სტუმრებმა. მათვე მოიპოვეს საერთო გუნდური პრიზი და მომავალი ფესტივალის მასპინძლობის უფლება.

თხილამურები

ტერსკოლში, ჩეგეტის მთის ფერდობებზე გრძელდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. ვაჟთა შორის სპეციალურ სლალომში ორი ცდის ჯამში იმარჯვა ვ. ანდრეევმა (მოსკოვის ოლქი, „ტრუდი") — 2.33,02. II ადგილზე გავიდა ვ. მაკეევი (კემეროვო, „ბურევესტნიკი") — 2.34,55, მესამე იყო ი. უტკინი (კამჩატკის პეტროპავლოვსკი, „სპარტაკი") — 2.35,57.

ქალებისთვის სამჭიდის ბოლო სახეობა სპეციალური სლალომი იყო. აქ გამარჯვება წილად ხვდა ნ. პატრაკეევას (მოსკოვის ოლქი, „ტრუდი") — 1.18.94, ვერცხლის მედალი მოიპოვა კიევის დინამოელმა ს. ლებედევამ — 1.19,57. მინსკელი სტუდენტი ნ. ზელოვა III ადგილზეა — 1.19.59.

შეჯამდა სამჭიდის შედეგები. ოქროს მედალი წილად ხვდა IX კლასის მოსწავლეს ლ. რეუსს (ზელორეცკი). ვერცხლის მედალი მოიპოვა ლ. კაბანოვამ (კემეროვოს „სპარტაკი"), ბრინჯაოსი — ლებედევამ.

დამთავრდა მსოფლიო თასების გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. უკანასკნელი შეჯიბრებები მოეწყო ესპანეთში, სიერა-ნევადის მთებში. ვაჟთა შორის გიგანტურ სლალომში ახალგაზრდა ავსტრიელმა მ. ბრუნერმა იმარჯვა. ქალთა შორის უძლიერესი იყო შვეიცარიელი ლ. მ. მორერო. შეჯამდა სეზონის შედეგები. ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა მორერო — 319 ქულა. II ადგილი დაიკავა ამ თასის ხუთგზის მფლობელმა, ავსტრიელმა ა. მოზერ-პრიოლმა—246. მომდევნო ადგილებზე არიან ავსტრიელები მ. კაზერერი — 196, ბ. ჰაბერზატერი — 186, ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) და მ.-ტ. ნადიგი (შვეიცარია).

ვაჟთა შეჯიბრებაში შვეციელმა ი. სტენმარკმაც ძალიან ჩამოიტოვა მეტოქენი — 349 ქულა. მას უახლოეს მეტოქეს ავსტრიელ კ. ჰეიდეგერს 250 ქულა აქვს. ჰეიდეგერმა შესძლო ოლიმპიური ჩემპიონის, თანამემამულე ფ. კლამერის დამარცხება — 203, შემდეგ ადგილებზე არიან იტალიელები პ. გროსი (165) და გ. ტოენი (146), შვეიცარიელი ბ. რიუსი — 137.

გუნდურ ტურნირში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, აგრეთვე, საერთო ჩათვლაში ეროვნებათა თასები ავსტრიის კოლექტივმა მოიპოვა — 2001 ქულა (ვაჟები — 1060, ქალები —941). II ადგილი დაიკავა შვეიცარიის ნაკრებმა — 1186 (605 და 581), III — იტალიის გუნდმა — 703 (582 და 121).

აღსანიშნავია, რომ 1967 წლიდან, რაც ეს ტურნირები ტარდება, ავსტრიელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში თასი მეექვსედ მოიგეს.

კიროვსკში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა ტრამპლინიდან ხტომაში. ოქროს მედალი მოიპოვა ა. ბოროვიტინმა, რომელმაც 70-მეტრიან ტრამპლინზე ჯერ 72 მეტრი აჩვენა, შემდეგ 76 მეტრზე გადახტა და ჯამში 250,9 ქულა მოაგროვა. ვერცხლის მედალი მიიღო ი. ივანოვმა, რომელიც ჩემპიონს მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა ვ. სავინი — 243,8.

საკდესის კორესპონდენტები გვატყობინებენ

მძლეოსნობა

კალიფორნიის ქალაქ ვესტვუდის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში 21 წლის ამერიკელმა მძლეოსანმა მ. ტალიმ ჭოკით 555 სმ სიმაღლე დაძლია. ეს საუკეთესო მაჩვენებელია წლეულს მსოფლიოში.

ამერიკის მეორე ქალაქ გეინსვილში ჰ. გლანსმა 100 მეტრის გარბენას 10,1 მოანდომა. 400 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. მოზესმა თავისი საყვარელი დისტანცია 49,1 წამში დაფარა. იგი უძლიერესი იყო 110 მეტრზე თარჯრბენშიც — 13,6.

რა გვიჩვენა შეჯიბრებამ?

სულ უფრო პოპულარული ხდება შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. შარშან ტაშკენტში გამართულ საკავშირო ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. წლევანდელ შეჯიბრებას თბილისი უმასპინძლებს. ეს ერთიორად ზრდის საქართველოს ნაკრები გუნდის პასუხისმგებლობას.

ამ დღეებში თბილისის სპორტულ ბაზებზე ჩატარებული „განთიადის" საქალაქო საბჭოს პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საკავშირო შეჯიბრებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ასპარეზობამ მშდ-ს ნიშნოსანთა მომზადებაში არსებული ბევრი ნაკლი გამოავლინა. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ექვსი სპორტკლუბისა და ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" მრავალჭიდელები. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მოვალეობას იხდიდნენო. არ იგრძნობოდა სპორტული პაექრობისთვის დამახასიათებელი დაძაბულობა, გამარჯვებისკენ სწრაფვა, ისიც უნდა ითქვას, რომ სრული გუნდები მხოლოდ „უშბამ" და „მეგობრობამ" გამოიყვანეს. საინტერესოა, სხვებმა რატომ ვერ შეკრიბეს 15-15 კაცი, დედაქალაქის სპორტკლუბები ხომ ყოველწლიურად ასობით ნიშნოსანს ამზადებენ? თუმცა, დიდად ვერც სარბიელზე გამოსულებმა გამოიჩინეს თავი: 74 მრავალჭიდელიდან ყველა ნორმატივი მხოლოდ 37 კაცმა შეასრულა.

შეჯიბრების პირველმა დღემ შედარებით „მშვიდობიანად" ჩაიარა. მძლეოსნური ნორმატივების ჩაბარებაში „უშბა" დაწინაურდა. მეორე დღეს სროლის შემდეგ ტურნირს 14 ნიშნოსანი გამოეთიშა. ცურვაში შეჯიბრების მერე მათ კიდევ 7 მრავალჭიდელი დაემატა, კროსმა კი საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ სპორტკლუბებში ნიშნოსანთა მომზადების ხარისხი არც ისე მაღალია.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სპორტკლუბმა „გამარჯვებამ" საასპარეზოდ 11 ნიშნოსანი გამოიყვანა, გუნდს კი ჩასათვლელი ქულა მხოლოდ სამმა მისცა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩარხმშენებლებს მშვენიერი საცურაო აუზი აქვთ, ს. ჟივაიკინასა და ლ. სემიონოვას კი სწორედ ცურვაში მოეცარათ ხელი.

ნიშნოსანთა მომზადების დაბალ დონეზე ისიც მეტყველებს, რომ პირველი ადგილი 210 ქულით სპორტკლუბ „ფეიქრის" 7-კაციანმა გუნდმა დაიკავა, ქულები კი კოლექტივს მხოლოდ სამმა კაცმა მისცა. მეორე ადგილი სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „უშბას" ხვდა. ამ გუნდის 182 ქულაც სამ ნიშნოსანზე მოდის.

127-127 ქულით III და IV ადგილები გაიყვეს სპორტკლუბებმა „განთიადმა" და „მეგობრობამ", მომდევნო ადგილებზე არიან: „ივერია" — 103 ქულა, „გამარჯვება" — 102, „ისანი" — 53.

ე. ბერიშვილი.

• • •

სურათებზე: მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „განთიადის" საქალაქო პირველობის მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

წყალბურთი

სუსტი სტარტი

2 აპრილს დუშანბეში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტური.

პირველ დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია გათამაშების ლიდერების — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდების მატჩმა. უნივერსიტეტის წყალბურთელებმა უკეთ ითამაშეს და გაიმარჯვეს — 5:4. თანაქალაქელთა — მოსკოვის „დინამოსა" და „ტორპედოს" გუნდების შეხვედრაში იმარჯვა პირველმა — 5:1, ტაშკენტის „მეხნატმა" მოუგო ვოლგოგრადის „სპარტაკს" — 9:4, კიევის „დინამომ" აჯობა ალმაათელ თანაკლუბელებს — 4:2, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (წკფ) სპორტსმენებმა — „მოსკვიჩს" — 6:2.

თბილისის „დინამომ" მარცხი იწვნია ხარკოვის „ლოკომოტივთან" შეხვედრაში — 7:8.

შეჯიბრების მეორე დღის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო მოსკოვისა და კიევის დინამოელთა მატჩი, რომელიც ფრედ დამთავრდა — 5:5. კვლავ წააგეს ჩვენმა დინამოელებმა, ამჯერად წკფ-ს (ბაქო) გუნდთან — 4:5. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სსფ ცსს — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 8:2, მოსკოვის უნივერსიტეტი — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 12:2, „მეხნატი" (ტაშკენტი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 11:6, „დინამო" (ალმა-ათა) — „მოსკვიჩი" 7:6.

მწვრთნელის ოპტიმიზმი

ჰოკეი

ნიუ-იორკი. „კანადა 1969 წლის შემდეგ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრიაში პირველად გაგზავნის გუნდს, მაგრამ იგი ალბათ დიდ აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევს ევროპელ გულშემატკივრებში, რომლებიც ძალიან ბევრს ელიან „პროფესიონალი ვარსკვლავებისგან", — ამბობს კანადის ნაკრების ხელმძღვანელი დერეკ ჰოლმსი.

დღეს კანადისა და აშშ-ის გუნდების მენეჯერთა წინაშე ერთნაირი პრობლემა დგას — როგორ მიიზიდონ მაღალი კლასის მოთამაშენი?. ორივე ნაკრები აპრილის პირველ რიცხვებში ეწვევა ევროპას ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა შეჯიბრებათა გადამწყვეტი სტადიები ორივე პროფესიულ ლიგაში — სტენლის თასის გათამაშება ეროვნულ ლიგაში და ავკო-ს ასპარეზობა საერთაშორისო ასოციაციაში. ამ დროისათვის ბრძოლას გამოეთიშება ეროვნული ლიგის 18 და საერთაშორისო ასოციაციის 11 გუნდი. სწორედ მათი მოთამაშეებისგან დაკომპლექტდება გუნდები ჩემპიონატისთვის. ამიტომ გუნდების შემადგენლობა მხოლოდ ევროპაში მათი ჩასვლის შემდეგ გახდება ცნობილი.

თავდაპირველად ეროვნული ლიგა თანახმა იყო მსოფლიო ჩემპიონატზე გაეგზავნა მხოლოდ იმ მოთამაშეებისაგან შემდგარი გუნდი, რომლებიც სტენლისა და ავკო-ს თასების გათამაშებაში ვერ მოხვდნენ. ამას ახალი დათმობა მოჰყვა — აშშ-ისა და კანადის ნაკრებ კოლექტივებს უფლება მიეცათ გუნდები გაეძლიერებინათ იმ ჰოკეისტებით, რომლებიც თასების გათამაშებას უკვე პირველივე ეტაპზე გამოეთიშებოდნენ. ასე რომ, თავდაპირველად ჰოლმსი და მარიუჩი ევროპაში ჩაიყვანენ მცირერიცხოვან გუნდებს, რომლებიც შემდეგ გაიზრდება.

ჰოლმსი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს: „მე ვფიქრობ, ჩვენი გუნდი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება", — განაცხადა მან ტორონტოში. თავის დროზე ჰოლმსი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ამზადებდა ფინეთისა და შვეიცარიის გუნდებს, ევროპაში კი კანადის ნაკრების სახელით გამოდიოდა. ახლა იგი ამბობს, ევროპულ სტილს კარგად ვიცნობ და ისიც ვიცი, როგორი ჰოკეისტების გამოყვანა იქნება საჭირო.

„იქაური პირობები ძალზე განსხვავებულია, — ამბობს იგი. — მოედნები უფრო დიდია, უფრო მოსახერხებელი ღია თამაშებისთვის, რაც ძალისმიერ ბრძოლას ხელს არ უწყობს. თამაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. აქცენტი გადატანილია ტექნიკურ მხარეზე. ჩემი აზრით, ჩვენ საკმარისად გვყავს ჰოკეისტები, რომლებიც ამგვარი მანერით თამაშს შეძლებენ".

რასაკვირველია, მსოფლიო ჩემპიონატი უფრო გვიან რომ ტარდებოდეს, კანადელებიცა და ამერიკელებიც ბევრად უფრო ძლიერად ითამაშებენ, მაგრამ, ჩემი აზრით, სხვა ქვეყნებსაც ბევრი პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი კალენდართან დაკავშირებით და ევროპელებმა ისედაც ბევრი რამ დათმეს.

უწინდელი ვადებით ტურნირი ორი კვირით ადრე ეწყობოდა. მართალი გითხრათ, მე ვფიქრობ, ევროპელები რეალისტურად უყურებენ ჰოკეიში მიმდინარე ამბებს. ოკეანის გაღმა ჰოკეისტები შვედებსა და ფინელებსაც ჰყავთ, ასე რომ, პრობლემებისგან არც ისინი არიან დაზღვეული. ჰოკეიში დღეს სხვაგვარი სიტუაციაა და ეს ყველასთვის ნათელია. შეიძლება ერთი-ორი წლის შემდეგ სულ სხვა მასშტაბის მსოფლიო ჩემპიონატი ვიხილოთ.

აშშ-ის ნაკრებს სათავეში უდგას ჯონ მარიუჩი, რომელსაც ამას წინათ ნიუ-იორკში ლესტერ პატრიკის პრიზი გადაეცა ამერიკული ჰოკეის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის. მისი აზრით, თუ ჰოკეის ეროვნულ ლიგასა და საერთაშორისო ასოციაციაში აუტსაიდერები არ შეიცვალნენ, იგი მხოლოდ ექვსი პროფესიონალის გამოყვანას შეძლებს. „ჩვენ ახლა უფრო დაბალ ლიგებში და კოლეჯებში ვეძებთ მოთამაშეებს", — დასძინა მან.

კანადელები თავიანთ „მოსამზადებელ ტურნეს" გიოტებორგში იწყებენ შვედებთან ორი შეხვედრით — 7 და 8 აპრილს. შემდეგ — 10 და 11 აპრილს ისინი ორ მატჩს ითამაშებენ ფინეთის გუნდთან. მერე დაგეგმილია ორი მატჩი გფრ-ის ნაკრებთან — დიუსელდორფში (13 აპრილს) და გარმიშ-პარტენკირხენში (14 აპრილს). დასასრულ პრაღაში 16 და 18 აპრილს მოეწყობა შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონებთან.

ამერიკელები ევროპას 10 აპრილს გაემგზავრებიან.

(საკდესი).

1977 წლისგან მოველით...

ბუდაპეშტი. მტი-ს თანამშრომლებმა უნგრეთის სპორტის მოღვაწეთა შორის მოაწყვეს გამოკითხვა ამ თემაზე: „რას ელით 1977 წლისაგან?" გთავაზობთ რამდენიმე პასუხს:

ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი **ლაიოშ ბაროტი:**

— იმედი მაქვს, უმაღლესი ლიგის გუნდები განუხრელად შეასრულებენ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წესდებას, რადგან მხოლოდ ეს შეიძლება იყოს შემდგომი წინსვლის საფუძველი.

მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ მე ოპტიმისტურად ვუყურებ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს. უნგრელ ფეხბურთელთა ნიჭიერება მაფიქრებინებს, რომ ჩვენს ნაკრებს ისეთივე შანსი აქვს ჯგუფში გამარჯვებისა, როგორც ნებისმიერ სხვა გუნდს.

უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტი **შანდორ ბარჩი:**

— 1977 წელმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, შევძლებთ თუ არა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გაურთულებლად ჩატარებას. ბევრი საკითხი უკვე გაირკვა. შენდება სტადიონები, დადგინდა ბილეთების ფასების კურსი, გადაწყდა სატელევიზიო, მათ შორის ფერადი გადაცემების საკითხი. მაგრამ ჯერჯერობით კვლავ ძალზე გვაფიქრებს არგენტინის საშინაო მდგომარეობის, უსაფრთხოების დაცვის საკითხი. პრესის ცნობით, 1976 წელს აქ მკვლელობის ორი ათასამდე შემთხვევაა აღნუსხული და დადგენილი არ არის, რამდენი კაცი გაიტაცეს. სწორედ ეს ბოლო ფაქტი იწვევს ყველაზე დიდ შეშფოთებას ევროპის ზოგიერთი ქვეყნის — კერძოდ გფრ-ისა და ჰოლანდიის ფედერაციების მოღვაწეთა შორის. წლევანდელმა წელმა ზუსტი პასუხი უნდა მოგვცეს ამ შეკითხვაზე: შეუძლია თუ არა ფიფა-ს მშვიდ ვითარებაში ჩაატაროს ჩემპიონატი?

მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელი **ლასლო პაპი:**

— ჩვენი მთავარი მიზანია აღვზარდოთ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებიც ნაკრებში დაიკავებენ ადგილს. ეს ხანგრძლივი პროცესია და შედეგები შეიძლება უცებ არც გამოჩნდეს... წლეულს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიმაჩნია მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ჰალეში ჩატარდება. ამ შეჯიბრებაში მხოლოდ საიმედო სპორტსმენებს ჩავაბამთ. შეიძლება გუნდში თერთმეტის მაგიერ რვა მოკრივე შევიყვანოთ.

უნგრეთის ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **ოტო ბონი:**

— ჩვენში ნიჩბოსნობის უახლოეს მომავალზე ორიოდ სიტყვით შემიძლია ვთქვა: მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში, ისევე როგორც მიუნხენში, ოქროს მედლები ვერ მოვიპოვეთ. ამიტომ, რაოდენ შორსაც უნდა გვეჩვენებოდეს 1980 წელი, ჩვენ უკვე ვზრუნავთ „მოსკოვის გუნდის" შესაქმნელად. ეს რთული სამუშაოა როგორც სპორტსმენების, ისე სპეციალისტებისათვის. პირველი „საკონტროლო" კი ჩვენთვის სოფიის 1977 წლის მსოფლიო ჩემპიონატი იქნება.

წყალბურთელთა ნაკრების წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი **გაბორ ჩაპო:**

— კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი წარსული „პროგნოზები" გამართლდა. მე ვთქვი, რომ ჩვენ მოვიგებდით სამ დიდ საერთაშორისო ტურნირს, მათ შორის ოლიმპიადასაც. ასეც მოხდა. წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, რომ იგივე შედეგები გაგვემეორებინა ამ ოთხწლეულშიც, პირველ ყოვლისა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც აგვისტოში ჩატარდება.

(საკდესი).

მხიარული ფანჯრით



უსიტყვოდ.

ი. დოიაშვილის ნახატი.

რატომ ჩამორჩნენ იაპონელები?

ტოკიო. 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში იუკიო კასაია დაესწრო იუნიორ მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც შვეიცარიაში, სენტ კრუაში ჩატარდა. იქ მას კორესპონდენტებმა ჰკითხეს, თუ რამ გამოიწვია იაპონელთა ჩამორჩენა.

„იაპონიაში მოყვარულებს ფაქტიურად არა ჰყავთ ხელფასით მომუშავე მწვრთნელები, — ამბობს კასაია. — ყველა მწვრთნელი პროფესიონალებს ემსახურება".

თავად კასაია ვისკით მოვაჭრე ფირმის წარმომადგენელია. „დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ახალგაზრდა მხტომელებთან, მაგრამ საარსებო სახსარი ხომ უნდა მქონდეს. დღეს იაპონიაში 300 ძლიერი იუნიორი მხტომელია. მათთან მუშაობა ძალზე საინტერესოდ მიმაჩნია, რადგან მოზარდები ყველაზე უკეთ ამ ასაკში ითვისებენ ყველა სიახლეს", — ამბობს იგი.

იაპონელები ბოლო წლებში ძალიან ჩამორჩნენ მსოფლიოს მოწინავე მხტომელებს. „სანამ ჩვენ საპოროს ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული გამარჯვებით ვტკბებოდით, სხვები ხელებდაკაპიწებული მუშაობდნენ, — თქვა კასაიამ. — ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. ჩვენმა ფედერაციამ ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. გასული წლის ნოემბრიდან, მე მიწვეული ვარ კონსულტანტად თეორიულ საკითხებში. მაგრამ, თუ გვსურს დაკარგული ავინაზღაუროთ, რაც შეიძლება ხშირად უნდა ვიაროთ ევროპაში გამოცდილების გასამდიდრებლად. სწორედ ამ მიზნით ჩამოვიყვანეთ სენტ-კრუაში ჩვენი ყველაზე პერსპექტიული მხტომელები. რა თქმა უნდა, საჭიროა დიდი მოთმინება და გულმოდგინე, შეუპოვარი მუშაობა..."

(საკდესი).

თბილისი სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 5 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. დუბლიორები. „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი). დასაწყისი 18 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14 უე 02099